გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

დადგენილება № 10

2025 წლის 13 მაისი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/11/2017; 010260010.35.148.016402) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას დაემატოს მე-3^1 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3^1. სამსახურის უფროსის მოადგილე

სამსახურის უფროსის მოადგილე თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) სამსახურის უფროსთან შეთანხმებით, წარმართავს და ზედამხედველობს სამსახურის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

ბ) ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებითა და სამსახურის უფროსის დავალებით განსაზღვრულ ფუნქციებს.“.

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

გ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლს დაემატოს „$დ^1$“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„$დ^1$) ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური დაწესებულებების მართვას;“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**